ტიპობრივი ტესტები ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის
ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციასა და ეკონომიკაში

1. რა შემთხვევაშია შესაძლებელი საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა
ა. ექსპორტისთვის
ბ. რეექსპორტისთვის
გ. ტრანზიტისთვის

2. ჩამოთვლილთაგან რომელია მეორეული შეფუთვის სწორი განმარტება
ა. შეფუთვის ფორმა რომელიც უშუალოდ ეხება სამკურნალო საშუალებას
ბ. შეფუთვის ფორმა რომელშიც თავსდება სამკურნალო საშუალება
გ. შეფუთვის ფორმა რომელშიც თავსდება სამკურნალო საშუალება პირველადი შეფუთვით

3. რას წარმოადგენს სამკურნალო საშუალების რეგისტრაცია
ა. საქართველოში წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი სამკურნალო საშუალების სახელმწიფო ექსპერტიზის პროცედურა რომლის საფუძველზედაც გაიცემა საქართველოში მისი მიმოქცევის ნებართვა;
ბ. საქართველოში წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი სამკურნალო საშუალების სახელმწიფო ექსპერტიზის პროცედურა რომლის საფუძველზეც აიკრძალება საქართველოში მისი მიმოქცევა;
გ. საქართველოში წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი სამკურნალო საშუალების სახელმწიფო ექსპერტიზის პროცედურა რომლის საფუძველზედაც დროებით შეჩერდება საქართველოში მისი მიმოქცევის ნებართვა.

4. ვის მიერ იქნა მიღებული კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ
ა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ;
ბ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ;
გ. საქართველოს პარლამენტის მიერ.

5. რა აღინიშნება სამკურნალო საშუალებათა წარმოების ნებართვის დანართში
ა. საწარმოს მიერ წარმოებული სამკურნალო საშუალების ნუსხა;
ბ. საწარმოს იურიდიული მისამართი;
გ.სამკურნალო საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია.

6. რომელი სამკურნალო საშუალებები ექვემდებარება სპეციალურ სახელმწიფო კონტროლს
ა. ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებები;
ბ.პარასამკურნალო საშუალებები;
გ. ნარკოტიკული და მათი შემცველი საშუალებები, შხამები და შხამ შემცველი საშუალებები, ფსიქოტროპული საშუალებები, პრეკურსორები.

7. ვინ განსაზღვრავს ნარკოტიკულ ნივთიერებებზე წლიურ მოთხოვნილებას
ა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგანა საქმეთა სამინისტრო;
ბ. მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო;
გ. ფინანსთა სამინისტრო.

8. რა ტემპერატურულ ინტერვალში ისაზღვრება ეტიკეტზე მითითებულია პირობა შე ინახეთ არა უმეტეს 25 ^{0}C ტემპერატურაზე
ა. +18^0 C დან +25^0- C მდე
ბ. 0^0- C იდან +25^0 C -ამდე
გ. +2^0 C დან-+25^0 C -მდე